


ლიცენზირებული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეში „საშურის მოამბის“ დამატება
№10, 30 ოქტომბერი, სამშაბათი, 2018 წელი

საშურის მკვიდრი - სახელოვანი მეცნიერი და მოღვაწე

გრიგოლ კიკნაძე საშურის მკვიდრი იყო. იგი დაიბადა 1909 წლის 5 მარტს რკინიგზელის, კონსტანტინე კიკნაძის ოჯახში. სწავლობდა ქ. საშურის I საშუალო სკოლაში. 1925 წელს სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდგომ, 20 წლისა, დაინიშნა ფოთის ინდუსტრიული ტექნიკუმის მასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ ბათუმში განაგრძო მასწავლებლობა. გარდა ამისა, იგი მუშაობდა განათლების ორგანოებშიც.

1935 წლიდან გრიგოლ კიკნაძე თბილისში ბრუნდება და მუშაობას პედაგოგიკის ინსტიტუტში აგრძელებს, 1938 წლიდან კი, გარდაცვალებამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს. ჯერ იყო დოცენტი, შემდეგ – პროფესორი. იმავდროულად, 1941-47 წლებში ხელმძღვანელობდა ლიტერატურათმცოდნეობის კათედრას თეატრალურ უნივერსიტეტში, ხოლო 1940-1950 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.

1938 წელს გრ. კიკნაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ილია ჭავჭავაძე, როგორც ხელოვანი“, ხოლო 1945 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“. ოფიციალური ოპონენტის აკად. კორნელი კეკელიძის თქმით, გრ. კიკნაძემ „მოგვცა ისეთი სერიოზული და სრული მონოგრაფიული გამოკვლევა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ, რომლის მსგავსი, ხშირად არ ჩნდება ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ჰორიზონტზე“. მეორე ოფიციალური ოპონენტი აკად. შალვა ნუცუბიძე წერდა:

„გრ. კიკნაძის ნაშრომი მთლიანად ორიგინალურია. ბევრი გაბედული აზრით მასში წამოყენებული, განხილვა გაურბის ტრაფარეტს და მოყვანილი დებულებები, სადაობის შემთხვევაშიც, საინტერესო და მეცნიერული ღირებულების მქონე არიან“.

გრიგოლ კიკნაძე იმ მკვლევართა რიგს ეკუთვნოდა, ვინც, არა მხოლოდ, მეცნიერული ნაღვანით, არამედ პიროვნული ცხოვრებითაც რჩება, როგორც ზნეობრივი ერთეული, რომელიც, არა მარტო, თავის თანამედროვეებზე ახდენდა დიდ ზემოქმედებას, არამედ მომავალი თაობისთვისაც მაგალითი იყო.

გრიგოლ კიკნაძე დიდი პედაგოგი, ახალგაზრდობის მოძღვარი გახლდათ, იმთავითვე დაიპყრო მათი გული. მას მიენდნენ, მას მიჰყვებოდნენ. იგი იყო მონოლითური პიროვნება, უკომპრომისო, შეუვალი, რომელსაც კარგად ჰქონდა გაცნობიერებული საკუთარი შინაგანი ძალა, რომლის საზრდოს მძლავრი ინტელექტიდან ლეზულობდა, მისი პიროვნებისათვის დამახასიათებელი იყო არაჩვეულებრივი სიმყარისა და სიმტკიცის გამოჩენა უსიამოვნო სიტუაციაში. ამიტომაც იყო ის ძლიერი მოკამათე.

გრ. კიკნაძე აზრის მოტრფიალე პიროვნება გახლდათ. ცხადია, მისი პოზიცია ეროვნული იყო, მაგრამ მისი პატრიოტული გრძნობა ხმამაღლა ლაპარაკს გაუბოდა. იგი საქმეს აკეთებდა, ეროვნულ საქმეს და სხვაზე უკეთ იცოდა, რომ ქვეყანას ასეთი პატრიოტობა სჭირდებოდა. ის კი არ ქადაგებდა სამშობლოს სიყვარულს, არამედ ქართველ ახალგაზრდობას ბუნებრივად უღვივებდა ამ გრძნობას, როცა ქართული სულის გამოვლენის ლიტერატურულ ფორმებზე ესაუბრებოდა, ქართული მწერლობისა და კულტურის სიღრმეებში ახედებდა, როცა ქართული ენის ამოუწურავ შესაძლებლობებში ისეთ სიტყვას, ფრაზას შეარჩევდა, რომლითაც სათქმელის შინაარსსაც და ქართული სიტყვის ენერჯისაც თვალსაჩინოდ გაგრძნობინებდათ.

გრ. კიკნაძე იყო სახე საზოგადო მოღვაწისა, რომელიც სრულ კმაყოფილებას მხოლოდ მაშინ აღწევდა, როცა ერთი მიზნისაკენ წარმართავდა მეცნიერთა დიდი ჯგუფის საქმიანობას და ერთ ამოცანას უქვემდებარებდა. ეს უიშვიათესი უნარია. გრ. კიკნაძის ამ ნიჭმა სრულად მაშინ გაშალა ფრთები, როცა თავისი მეცადინეობით უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას სასწავლო-სამეცნიერო კაბინეტი დააარსა, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით, თორმეტი წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ვაჟას მემკვიდრეობის შესასწავლად. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ

სათანადოდ შეაფასა ეს ფაქტი, როცა აღნიშნა:

„ეს კაბინეტი გადაიქცა ვაჟა-ფშაველას შესწავლისა და კვლევის ცენტრად. ერთი დიდი კვლევითი ინსტიტუტი ვერ გააკეთებდა იმას, რაც ვაჟა-ფშაველას კაბინეტმა ამ ხნის მანძილზე გააკეთა“.

გრიგოლ კიკნაძე, მთელი თავისი მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით, იქითკენ მიისწრაფოდა, რომ ახალგაზრდობისთვის გაესივრებინა ადამიანის მოვალეობა და განემტკიცებინა ადამიანური ღირსების გრძნობა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მისი მეცნიერული მოღვაწეობა მონოდებულ იყო დამკვიდრებისათვის. ძალიან ბევრი მკვლევარისაგან ბატონი გრიგოლი იმით გამოირჩეოდა, რომ მას გარკვეული თვალსაზრისი ჰქონდა, მის კვლევა-ძიებით საქმიანობას ნათელი ამოცანა განსაზღვრავდა და მიზანმიმართული იყო.

გრ. კიკნაძემ დიდი პერსპექტივები გაშალა მხატვრული ლიტერატურის კვლევის გზაზე. მან, სრულიად ჭაბუკმა, ჯერ კიდევ ვულგარული სოციოლოგიის ბატონობის ხანაში აჩვენა, რომ ლიტერატურა, ხელოვნება არ არის არც ეკონომიკისა და არც სოციოლოგიის დანამატი. მისი აზრით, ამოუწურავია და საბოლოო ჯამში, ამოუხსნელიც მხატვრული ფენომენი, მაგრამ მისი ასეთი ბუნება მეცნიერული პესიმიზმის წყარო კი არ არის, არამედ ლიტერატურულ ფაქტთან ნაირნაირი ასპექტით მიახლოებისა და უკვდავების პირობა.

ყოველივე ამის აღიარება 30-იანი წლების შემდგომ და, ამ თვალსაზრისით, ლიტერატურისმცოდნეობაში ხელმძღვანელობა, მარქსისტული მეთოდის მიმდევრობაზე უარის თქმას, მის სერიოზულ კრიტიკას ნიშნავდა და ზნეობრივი გმირობის ტოლფასი იყო.

გრიგოლ კიკნაძე იყო ჩვენს სინამდვილეში ნიმუში ისეთი მკვლევარისა, რომელსაც შეეძლო იმის კონკრეტულად ხორცშესხმა, რასაც თეორიულად ავითარებდა. ამ და, არა მარტო, ამ თვალსაზრისით იპყრობენ ყურადღებას მისი ფუნდამენტური გამოკვლევები: „ქართული სატირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“ (1953წ.), „მეტყველების სტილის საკითხები“ (1957 წ.), „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“ (დაინერა 1945 წ, გამოიცა 1957 წ.) და კიდევ ძალიან ბევრი სხვა გამოკვლევა, რომელიც ახლა იყრის თავს, მისი გარდაცვალების შემდეგ, მის მოწაფეთა მიერ განხორციელებულ გრ. კიკნაძის თხზულებათა ხუთტომეულში (1999-2009).

კვლევა-ძიებით საქმიანობაში გრ. კიკნაძე, რომელსაც სპეციალისტის განათლება ჰქონდა მიღებული სულ სხვადასხვა საგანში, არა მარტო წარმატებით ეყრდნობოდა მოსაზღვრე დისციპლინათა მონაპოვარს, არამედ ამდიდრებდა კიდევ მათ. ამდენად, მისი ნაშრომები მნიშვნელოვანია, არა მარტო, ლიტერატურისმცოდნეობის, არამედ ენათმეცნიერების, ფოლკლორის, ფსიქოლოგიის, ესთეტიკის, ფილოსოფიის თვალსაზრისითაც.

რასაკვირველია, გრ. კიკნაძის მეცნიერულ გამოკვლევათა ღირებულება მარტო მკვლევარის ალლოზე და ნიჭზე არ არის დაფუძნებული. იგი, თავის მხრივ, დიდ მოაზროვნეთა მემკვიდრეობას ეყრდნობოდა. ამიტომაცაა, რომ მისი მეცნიერული ნააზრევი ბუნებრივად ერთვის თანამედროვე კვლევა-ძიების მძლავრ ნაკადს.

გრ. კიკნაძე ყოველი კონკრეტული მწერლის თუ ნაწარმოების ანალიზისას განზოგადებდა მიმართავს, ამის გამოც, მისი გამოკვლევები ქართული ლიტერატურის ისტორიის და ქართველი მწერლების – გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის, გ. ერისთავის, ილიას, აკაკის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონის, გ. ლეონიძის, ა. კალანდაძის შესახებ, საინტერესოა და უაღრესად საყურადღებო ყველასათვის, ვისაც ლიტერატურა უქცევია თავისი სერიოზული ინტერესების საგნად. სწორედ ამიტომაც, „ასეთი გამოკვლევები დაამშვენებდა ლიტერატურისმცოდნეობას რა გინდა რა ენაზე“ (აკად. არნოლდ ჩიქობავა).

გრ. კიკნაძის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ზნეობრივი სიფხიზლის ნათელი დასტურია. ამიტომაც ჰქონდა მის ყოველ ნაბიჯს, მის ყოველ საქმეს მაგალითის ძალა.

ღრმა და გამძლე მემკვიდრეობა, შეუბღალავი რწმენა და საკუთარი ღირსების გრძნობა უკვდავყოფს გრ. კიკნაძეს თაობების მეხსიერებაში.

ლადო მინაშვილი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

3 თ ე ზ ი ა



მიხეილ მდივანი

ჩემს ხაზურს!

თრიალეთის მთებიდან,
 სიყრმის სიმღერებიდან
 მოვდივართ და მეფერები დღესაჯ,
 ღორინამკლის ლურჯი რა,
 სულის ამ ლელვებიდან
 გუშინ, მხრებზე, ხალათივით მესხა.
 მტკვრის ჩქერალოთა ჩქამიდან,
 ანდა უფრო ჩქარი და
 მოდუღუნე თერხვის სურნელს აკმევ,
 შემოდგომის ქარვიდან,
 თუმე კი, ნღები ნავიდა, –
 მჭერა, ისევ შენ გამიხსნი სარკმელს...
 აქ ვარ, არე სად ნავსუღვარ,
 უშენობა არ მსურდა,
 ვერე გავძელი მე უშენოდ, მახსოვს...
 და, თუმე, დრომ, უღომბეღმა
 მანვალა და გამქურდა,
 დღემდე შენ ხარ იმედი და სასო!
 ვეფიქრებთ ერთმანეთს
 და ვინდომებ მხოლოდ ერთს:
 შენი ზერა დამაფარო იმ დროს, –
 როეა ქარი ანენავს
 ღრუბლებს, შემოდგომისას,
 როს შენს კალთას ჩავეკვრები მჭიდროდ...
 შენ ხარ სულის სინათლე,
 ვინაე გზა გამინათე
 და ჟერ, ვიდრე, ჩვენ ერთმანეთს ვშვენით,
 მინდა, ისე ნავიდე,
 რომ ჩემით ამაყობდე,
 ისე, როგორე, მე ვამაყოზ შენით!..

* * *

(ძალიან ძველი ლექსებიდან)

ახლა, გარეთ შემოდგომა დადის,
 ახლა სულშიე მეზარება სიყვიე,
 გამიწოწხლოდა ოდინდელი დარდი
 და ვერაფრით, ჰო, ვერაფრით ვიერილებ...
 ახლა ზერა ღრუბლის ქულას იევილის, –
 დღეების ნინ მზეეს გულზე რომ მახლიდა,
 – იერი? შენთან ყოფნა მინდა, იერი? –
 ვჩურჩულეზ და გამოვივარ სახლიდან.

ჩაღის სახლის ბინადარი

ჩაღის სახლი მაქვს,
 ჩაღისა აქვს მას სახურავიერ,
 თეთრ ღამეებში ქარვისფრად ყვავის...
 მზეში კი, ისე აელვარებს ოქროს ფუჩეჩებს,
 ყველას ჰგონია, თითქოს ფიქრი ამიფერადდა...
 ჩაღის სახლი მაქვს,
 ზოგჯერ ქარი ნენს,
 მიყრი-მოყრის, აურ-დაურევს
 და, მე, სნორედ ეს მიხარია,
 რადგან ღამეში, გადახდილი სახურავიდან
 ვარსკვლავებს ვინვეე ჩემს ჩაღის სახლში.
 მთვარეს კი, ისე შინაურულად ვესაუბრები,
 თითქოს, რაკილა ერთი გვარის ვართ,
 ერთი ოჯახის შვილებიერ ვიყოთ...
 ნვიმინ ამინდს უფრო მეტად ვეხალისები,
 რადგან ნვიმის ვერეხლისფერ მძივეს
 მთელ ჩემს სახლში ისე ირიზად და გიჟურად
 ვასხმარეალეზ,
 ზოგი იფიქრებს, ჭკუაზე არ ვარ...
 ხოლო, როეა მზე დააჩხუნებს
 და უზაერო სიმარტოვეს შემომჩეჩებს,
 ჩაღის კონებს სახურავზე ისე ვალავებ,
 რომ მზის სხივებმა მინის სიგრილე არ შეაშფოთოს.
 მოკლეე, ასე ვარ ჩაღის სახლში,
 სულაე არ ვდარდობ.
 მთავარია, ეს ქვეყანა არ იყოს ჩაღის,
 ჩაღით არ იყოს დახურული!..
 თორემ, სახლი აზა, რა არის?
 იყოს ჩაღისა, ჩაღისავე სახურავითვე.
 თვითვე მოვევლი დრო-ჟამის დარად,
 მივნი-მოვნეე ჩაღის ფუჩეჩებს.
 აი, ქვეყანას ვერაფერს ვერ მოვეხებებ...
 და, ამიტომაე, სულაე არ მინდა,
 ჩაღით დახურულ ქვეყანაში ვრეზვროზდე ისე!..

* * *

ღამით რას ვეჭრფი და დღით
 ბალახებს ვკორნი რვრიანებს,
 ერთი რის ერთი ვარსკვლავი
 ამ ჩემ გულშიაე ნკრიალეზს.
 ხან მშვიდად არის და, ხანაე,
 ზედ გულის კართან ნრიალეზს,
 ხან ქარებს უხმობს, ხან – მთვარეს
 და ხანაე – ნისლეზს რვრიანებს.
 მოიხუმტყურებს – ჩაქრება,
 მოიხუმტყურებს – იალებს.
 დღემდის მას ვეფოფინები,
 სულ მის გარშემო ვტრიალეზ.
 ერთი რის ერთი ვარსკვლავი
 ამ ჩემს გულშიაე ნკრიალეზს.

* * *

თრიალეთზე, ღორინამკლის ამაყ მწვერვალს
 ჟანღის ჟარი მტარვალთვით მისეკია,
 ზემო ქართლის რხრაფვალა მზის რხრავე სხივი
 მტკვრის ტალღებზე ხატეზივით მისევენია...
 ზურმუხტებში ნიავენი შრიალეზენ,
 მათ ჩურჩულში გმირთა ხმები მსურს, მოისმას,
 რომ კვლავ მძლავრად და სილალთ ხმიანებდეს
 ჩემი ქართლი – გული საქართველოისა!

ახალი წიგნი

ქალბატონ მზეგული ტყემელაშვილს ხაზურის საზოგადოება იცნობს, როგორც საბავშვო ლექსების ავტორს. ახლახან კი, მან ზღაპრების კრებულიც გამოსცა პატარებისთვის, სადაც მეტად საინტერესო ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი ზღაპრის ჩვენთვის ნაცნობი თუ უცნობი პერსონაჟები. წიგნი 13 ზღაპარს შეიცავს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავტორი, რედაქტორი (შოთა დარბაზაშვილი), მხატვარი (ლალი ხიმშიაშვილი) და კორექტორი (რუსუდან მაისურაძე) ის ადამიანები არიან, რომლებსაც წიგნის სიყვარულთან ერთად, მშობლიური მინა-წყლის – სამაჩაბლოს ტყვილი და „დევილობის“ სტატუსი აერთიანებთ. გთავაზობთ წიგნის რედაქტორის, პოეტისა და მუსიკოსის შოთა დარბაზაშვილის წინასიტყვაობა-რეცენზიას.

ზღაპარი - ჯადოსნური სამყარო

ხალხური სიბრძნის უძველესი ფანრი – ზღაპარი დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ბავშვებში. საუკუნეების მანძილზე იგი ზეპირად იქმნებოდა და გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ზღაპარი შეთხზული, გამონაგონი ამბავია და ეპიკურ ფანრს განეკუთვნება. ერთი შეხედვით გასართობ ამბავს დიდაქტიკური ფუნქციაც ეკისრება და ჭკუის სასწავლებლად გამოიყენება. არსებობს ხალხური და ლიტერატურული ზღაპარი. ლიტერატურული ზღაპარი კონკრეტული ავტორის მიერ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც ზოგჯერ ხალხურ წყაროებს ეყრდნობა, ზოგჯერ კი, ორიგინალურია. ქალბატონი მზეგული ტყემელაშვილის საბავშვო წიგნში წარმოდგენილი ზღაპრები ლიტერატურულ ზღაპრებს მიეკუთვნება. თუმცა, ზოგიერთი მათგანი ხალხურ წყაროებზეა აგებული.

თითქოს მეზღაპრეობა ადვილი საქმეა, მარტივი. სინამდვილეში, ეს ასე სულაც არ არის. რეალურად ზღაპარი საკმაოდ რთული ფანრია, რადგან მთხრობელს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ რაიმე შტრიხით არ გაარღვიოს ზღაპრის ჩარჩო და, იმავდროულად, დაინტერესოს მკითხველი. ეს კი ავტორისგან დიდ ოსტატობას მოითხოვს.

მზეგული ტყემელაშვილის მიერ შეთხზული ზღაპრები ერთი ამოსუნთქვით იკითხება. ზღაპრის პერსონაჟები ამ წუთისოფელში მოძრაობენ, ჩვენს გვერდით სახლობენ, სადაც გვხვდებიან კეთილი და ბოროტი ადამიანები, გამრჯე და ზარმაცები, მართალნი და ცბიერნი. და რომ კეთილი ყოველთვის ამარცხებს ბოროტს. ამ წიგნში აღმოაჩინებთ მწერლის საინტერესო მიგნებას: თითოეული ზღაპარი თუ თქმულეა მთავრდება ერთსტროფიანი ლექსით, შეგონებით, სადაც კარგად ჩანს ავტორის პოზიცია. მკითხველი ზღაპრის გმირად წარმოიდგენს თავს და ზღაპრის თანამონაწილე ხდება. აღსანიშნავია ქალბატონი მზეგულის ტკბილბმოვანი, გამართული ქართული, რომელიც სულსა და გულს ერთნაირად ესაღებუნება. ზოგადად, ქალბატონი მზეგული მეტად საინტერესო ადამიანი და შემოქმედი. ამ ფანრში კი იგი პირველად წარსდგება თავისი მკითხველის წინაშე.

ზღაპარი „ჩიტი და მელია“ ხალხურ წყაროებზეა აგებული. ცნობილი ხალხური ზღაპრის მიხედვით, ჩიტი სასონარკვეთილი და შესაბრაღისი დედაა, რომელსაც არ შესწევს ძალა და უნარი, რომ მოძალადეს დაუპირისპირდეს. ქალბატონმა მზეგულმა ამ ზღაპრის განსხვავებული ვერსია (მე ვიტყვოდი, თამამი, მაგრამ დამაჯერებელი) შემოგვთავაზა. საქართველოში, თითქმის, არ დარჩენილა ოჯახი, რომლის ერთი წევრი მანც არ იყოს წასული საზღვარგარეთ სამუშაოდ. მათი უმეტესობა ქალები არიან... არსებობსთვის (ოჯახის გადასარჩენად) ბრძოლა ქალს, დედას (ზღაპრის მიხედვით, დედა ჩიტს) დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება შესძინა. ზღაპრის ამ ვერსიით, დედა ჩიტი საკუთარ თავში პოულობს ძალას, წარმატებით განახორციელოს სახიფათო ოპერაცია, რომელიც თვითონვე დაგეგმა ნუნკი მელას წინააღმდეგ. შვილების სიყვარულმა დედა ჩიტს, თითქმის შეუძლებელი შეაძლებინა. მან შვილები იხსნა ვერაგი მტრისგან.

ზღაპარი „ბაია და უფლისწული“ მოგვითხრობს ერთი ქვეყნის მეფის შესახებ, რომელსაც მემკვიდრე მოგვიანებით შეეძინა. ტახტის მემკვიდრეს წინ დიდი განსაცდელი ელის. ამ განსაცდელისგან მას ერთი ლამაზი, უბრალო და კეთილი გოგონა იხსნის, რომელსაც სახელად ბაია ჰქვია. საინტერესოა ზღაპრის ფინალი, რომლის ნაკითხვა-გაანალიზება მოზარდს კეთილი საქმის საკეთებლად უბიძგებს. ავტორი თავისუფლად ახერხებს შეგიყვანოს, შეგიტყუოს ზღაპრის ჯადოსნურ სამყაროში, საიდანაც გიჭირს (არ გინდა) თავის დაღწევა, რაც, უთუოდ, ავტორის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ზღაპარი „მებადური და მისი შვილობილი“ შრომისმოყვარეობის, სიკეთისა და მოყვასის მიმართ ყურადღების გამოჩენის ხობაა. ზღაპრის მიხედვით, ოქროს თევზის პოვნამ ორი ოჯახის ბედნიერება უზრუნველყო, რაც მკითხველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ამ ზღაპრის მონოდებაც სწორედ ამამი მდგომარეობს.

„მელია და ყვავი“ – თუ ამ ზღაპარს გულისყურით წაიკითხავთ, მიხვდებით,

რომ მსუნაგობა, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა და წინდაუხედაობა არ ვარგა. იმ ნივთზე შეხება, რომელიც შენ არ გეკუთვნის და მისით სარგებლობა არ შეიძლება. განსაკუთრებით, უნდა ვერიდოთ უცნობ ნამლებს. ზღაპრის მიხედვით, ყვანჩალა ენდო მელიას, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა. თუმცა, ავტორი მიანიშნებს, რომ მელიასწარებისგან, რაც შეიძლება, შორს უნდა დავიჭიროთ თავი.

თურმე, მნათობებსაც ჰყვარებიათ ლექსები. არ გჯერათ?! წაიკითხეთ ზღაპარი „სიყვარულით მოლაპარაკე მნათობები“ და თავად დარწმუნდებით! ვარსკვლავებმა თავისი გრძნობა ლექსის სახით ჩამოაყალიბეს და თქვენთან გამოაგზავნეს, - ასე მიმართავს მკითხველს ავტორი. ზღაპარში იხილავთ სიყვარულით ამეტყველებულ მნათობებს. გრძნობის ლექსად გადმოცემა ზღაპარში შეტანილი სიახლეა, რაც მკითხველისათვის საინტერესოა.

ზღაპარი „ტყის გადამრჩენი“ მარტივად და გასაგებად მოუთხრობს მკითხველს, თუ რა შედეგით შეიძლება დამთავრდეს გულგრილობა, დაუდევრობა, საქმისადმი ზერელე მიდგომა. ზღაპრის მთავარი მოქმედი პერსონაჟები – ჩხიკვი და კოდალა დაუღალავი, საქმის მცოდნე და ენერგიული ფრინველები არიან, რომლებიც ამ თვისებით იქცევენ მკითხველის ყურადღებას. ზღაპრის ბოლოს ვრწმუნდებით, თუ რამხელა ძალა აქვს თანადგომასა და ერთობას.

ზღაპარი „ქორჩა და მურია“ ქათმისა და ძაღლის მეგობრობაზე მოგვითხრობს. მურია ბედნიერია იმით, რომ შესძლო დახმარება აღმოეჩინა განსაცდელში მყოფი მეგობრისთვის, რომელსაც თავს მოძალადე დაესხა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქორჩა კრუხის გმირობის ტოლფასი ქმედება. იგი თავგანწირვით ეკვეთა მტერს, რომელმაც მორიგ მსხვერპლად მურია აირჩია. ზღაპრის ფინალი ხაზს უსვამს მეგობრობის სიღაღეს.

მომდევნო ზღაპრით – „ღორი და მელია“ ავტორი მიგვითითებს, რომ ღორმუცელობასა და მომხვეჭელობას, ხშირად, გამოუსწორებელ შედეგამდე მიყვავართ, რომ არმად ნაშოვნი ლუკმა არავის შერჩება. ზომიერების დაცვა ყველგან და ყველგან აუცილებელია.

ზღაპარი „ოქრუა და ბაყბაყდევი“ კეთილ ცოლ-ქმარზე მოგვითხრობს, რომლებიც ღმერთმა შესანიშნავი ვაჟიშვილით დააჯილდოვა. ოქრუა მშრომელი ბიჭია. უყვარს მშობლები. იგი სიამოვნებით ეხმარება მეზობლებს, მეგობრებს. ოქრუა დიდი ფიზიკური ძალისა და გამჭრიახი გონების პატრონია. ღვთისბოძებულ თვისებებს იგი ხალხის საკეთილდღეოდ იყენებს... ზღაპრის მიხედვით, კეთილი ძალა იმარჯვებს ბოროტზე, რადგან სიკეთე ღვთისგან კურთხეულია.

„მეფე და გულთმისანი ვეზირი“ – ეს ზღაპარი კარგ მმართველზე მოგვითხრობს, რომელმაც იცის, თუ ვის ენდოს და დაუჯეროს. ერთ შანსს განგება ყოველთვის აძლევს ადამიანს, რომელსაც გონიერი იყენებს, უგუნური კი, ვერც ამჩნევს. ზღაპარი გვასწავლის, რომ სიღარიბე კი არ არის დასაცინი, არამედ – უსაქმურობა, ბოროტება და ურწმუნოება. კეთილ, გამრჯე და შრომისმოყვარე ღვთისმოსავს ადრე თუ გვიან, ღმერთი შეენევა, უპატრონოდ არ მიატოვებს.

მეტად საინტერესოა ზღაპარი „ქვეყნის იმედი“, რომელსაც თამამად შეიძლება, თანამედროვე ზღაპარი ვუნოდოთ. ბავშვებსაც არ გაუძნელდებათ მიხედვით, თუ ვინ არის გველემპაი და რომელ საფრთხეზეა საუბარი. ზოგადად, ზღაპრებიდან ვიცით, რომ ბოროტს ამარცხებს კეთილი. მაგრამ, განსხვავებულია ამ ზღაპრის მოცემულობა: **გველემპათან ბრძოლა ძნელია, რადგან ხალხის გარკვეულ ნაწილს „შერვეულ ჭირად“ მიაჩნია იგი და მის გაღიზიანებასაც ერიდება.** არადა, საჭიროა, მოიძებნოს საშუალება, რომელიც უმტკივნეულოდ, (დიპლომატიურად) გადაჭრის ამ, ერთი შეხედვით, გადაუჭრელ პრობლემას. პრობლემის არ დანახვა, მიუფრჩევა, გაჭიანურება, მას ვერ მოაგვარებს. სწორედ ეს გახლავთ ზღაპრის ფაბულაც. უფლისწული დარწმუნებულია, რომ ქვეყანას მანამ არ ეშველება, სანამ ბაყბაყდევი ქვეყნიდან არ „მივაბრძანებთ“!..

„მოხერხებული მწყემსი“ – გაგონილი ამბავი. ადამიანი უნაკლო არსება როდია. იგი ცდილობს, მაგრამ სრულყოფილებამდე ბევრი აკლია. თქმულების მიხედვით, ერთ-ერთმა მწყემსმა დაუფიქრებელი ლაპარაკი იცის, რომლის გამო განგებამ განსაცდელი მოუვლინა. ავტორს სურს, დაარწმუნოს მკითხველი იმაში, რომ სიტყვა, წარმოთქმამდე უნდა აინონოს და შემდეგ განზოგანდეს, რადგან მას დიდი ძალა აქვს. და, რაც მთავარია, როდესაც განსაცდელში აღმოვჩნდებით, სულით არ უნდა დავეცეთ!

„საზედაზე ქვევრი“ – ამ ნაშრომს ავტორმა „გაგონილი ამბავი“ უწოდა. გიგუშა და ლაზარე ერთმანეთის ანტიპოდები არიან თავიანთი თვისებებით. ავტორს სურს, მკითხველმა ლაზარეს მიბაძოს, რადგან იგი წესიერი და მართალი კაცია, რაზეც გიგუშაზე ვერ ვიტყვით. თუმცა, ავტორი, როგორც ჰუმანისტი, ბოლომდე ვერც გიგუშას იმეტებს და კიდევ აძლევს შანსს, გონს მოეგოს.

წარმატება და მკითხველის სიმრავლე ვუსურვოთ ქალბატონ მზეგული ტყემელაშვილს და მის ზღაპრების კრებულს.

ღეისური და ბავშვები

„ბედნიერების გასაღები ანუ ბურატინოს თავგადასავალი“

21 ოქტომბერს, საბავშვო თეატრალური წრე „აკვარიუმი“ თბილისში, „ათონელის თეატრში“ გამართულ „მაჩაბელას“ საბავშვო თეატრალური ფესტივალის (დირექტორი მამუკა ლომამვილი) ნ უმაღლესი ნომინაციით დაბრუნდა.

„ბედნიერების გასაღები ანუ ბურატინოს თავგადასავალი“ – ამ პიესით წარსდგა ხაშურის საბავშვო-თეატრალური წრე ჟიურის წინაშე. ეს „აკვარიუმის“ მორიგი წარმატებაა. გასული წლის ოქტომბერში, აღნიშნულ ფესტივალზე პატარა მსახიობებმა 5 ნომინაციაში მიიღეს უმაღლესი ჯილდო. შემდეგ იყო ქობულეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „მზიანი საქართველო“, საიდანაც ასევე, ნომინაციებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ.

მათი ბედნიერი, გაბრწყინებული სახეების დანახვა ღირს იმად, რომ შენც ბედნიერად იგრძნო თავი... შრომისა და თავდადების შედეგად მწიფე ნაყოფი მიიღო და გულაჩუყებულმა იმედიანად იფიქრო, რომ ეს ბავშვები, მომავალში პროფესიონალ ხელოვანებად თუ არა, ფაქიზი სულის, მაღალი გემოვნების მქონე ადამიანებად, მოყვასისა და სამშობლოს მოყვარულ, მოქალაქეებად გაეზრდებიან ჩვენს საქართველოს, და ამაში, ერთი პატარა აგური შენი ჩაშენებული იქნება!

„მაჩაბელა“ უკვე ათი წელია ღირსეულად და ობიექტურად ატარებს ფესტივალს და საქართველოს სხვადასხვა ქალაქების საბავშვო თეატრალური სტუდიების დაახლოებას უწყობს ხელს. უმთავრესი კი ის არის, რომ ამ ფესტივალში მონაწილეობა უდიდესი სტიმული და წინ გადადგმული ნაბიჯია, არა მარტო, მონაწილე ბავშვებისთვის, არამედ მათი სტუდიის ხელმძღვანელებისთვისაც. ეს არ არის კონკურენცია, – ეს ზრდაა!.. ნიჭის, შესაძლებლობების დახვეწა და უკეთ წარმოჩენა.

მე, როგორც ხელმძღვანელი, ვულოცავ „აკვარიუმის“ თევზებს“ ამ ლამაზ დღეს და კიდევ ბევრ დამსახურებულ წარმატებას ვუსურვებ მათი მშობლებისა და ჩვენი ხაშურის სასახელოდ!

ასევე, ვულოცავთ ხაშურის სამუსიკო სკოლის პედაგოგს **ფატი სადალაშვილსა** და მის მოსწავლეებს – **სოფიო ნოზაძეს** და **ლიკა კალმახელიძეს** სექტემბრის ბოლოს ისრაელის ქ. ცფატში გამართულ საბავშვო-მუსიკალურ კონკურს-ფესტივალზე მიღებულ წარმატებულ ჯილდოს – **I ადგილი**.

ეკა ბაქრაძე



ქალის როლის საუკეთესო შესრულება – ნინო კურტანიძე



საუკეთესო დუეტი – ლიზი ნოზაძე და გუჯიკო გოგალაძე



როლის საუკეთესო შესრულება – მეგი ხაჩიძე და ვიორჯი ბაქრაძე



მაყურებლის სიმპატია – 5 წლის მარიამ ინდუაშვილი